



3334-49-3-202001242107

ქვეყნის გარე ურთიერთობების
საერთაშორისო ორგანიზაციებთან
საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა

MISSION PERMANENTE DE LA GEORGIE
AUPRES DE L'ONU ET DES AUTRES
ORGANISATIONS INTERNATIONALES A GENEVE

N° 3334-49

24/01/2020

საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის
დირექტორს ბატონ შალვა ცისკარაშვილს

ბატონო შალვა,

გაცნობებთ, რომ მ.წ. 23 იანვარს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაიმართა ევროპის ჯგუფის საკოორდინაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილულ იქნა WHO-ს აღმასრულებელი საბჭოს (EB) 146-ე სესიის ფარგლებში ევროპის რეგიონის ქვეყნების მიერ ინიცირებული რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების ტექსტები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გიგზავნით იმ რეზოლუციების ტექსტებს, რომელთა დასპონსორებაც მისიას მიზანშეწონილად მიაჩნია:


- EB146.8 Strengthening Global Immunization Effort to leave no one behind (ინიცირებულია აშშ-სა და ესვატინის მიერ);
- EB146.9 Cervical cancer prevention and control: Accelerating the elimination of cervical cancer as a public health problem (ავსტრალია, ბრაზილია, კოლუმბია, ეკვადორი, კენია, ესვატინი, მონაკო, პერუ, რუანდა, სამხრეთ აფრიკა, ზამბია);
- EB146.12 Eye Health Resolution - (ავსტრალია, ბურკინა ფასო, ესვატინი, მალაიზია, მიანმარი, სინგაპური ტაილანდი);
- EB.146.15.3 "Strengthening Preparedness for Health Emergencies; Implementation of International Health Regulations (IHR, 2005)" (ფინეთი);
- EB.146.19 Food Safety Resolution (ევროკავშირი, დაასპონსორა ავსტრალიამ, იაპონიამ, მონტენეგრომ)

აქვე, გაცნობებთ, რომ მ.წ. 7 თებერვალს, აღმასრულებელი საბჭოს სესიაზე, განახლებული დღის წესრიგის მიხედვით, 22.4 პუნქტის ფარგლებში განხილულ იქნება ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეის დღის წესრიგი, რომელსაც დროსავე ისრაელის მხარე კვლავ კენჭისყრაზე დააყენებს ასამბლეის დღის წესრიგის მე-18 პუნქტის „Health conditions in the occupied Palestinian territory, including East Jerusalem, and in the occupied Syrian Golan“ (კომიტეტი B) მე-13 პუნქტის მე-2 საკითხის “ WHO’s work in health emergencies” (კომიტეტი A) ფარგლებში გადატანას.

გთხოვთ თქვენს ინსტრუქციას.

დანართი: ტექსტის მიხედვით.

პატივისცემით,
ირაკლი ჟღენტა

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'ი. ჟღენტა' (I. Zhgenti), written over a faint, dotted rectangular stamp.

მუდმივი წარმომადგენელი - მ.შ.